20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

# განკარგულება

11/06/2025 N 94

თბილისი

## ინდივიდუალური მეწარმე ,,დათო ირემაძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის საქმიანობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეწყდეს ინდივიდუალური მეწარმე „დათო ირემაძის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 61006019449) ვალუტის გადამცვლელ პუნქტზე გაცემული ფილიალის საქმიანობის ნებართვა, მისამართზე: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N51;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ინდივიდუალური მეწარმე „დათო ირემაძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის პირველი ივნისის N258 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

ი. ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE